# საჯარო სამართლის იურიდიული პირის – გარემოს ეროვნული სააგენტოს

# დებულება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო (შემდგომში– სააგენტო) არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც სახელმწიფო კონტროლის ქვეშ დამოუკიდებლად ახორციელებს საქმიანობას.

3. სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით, განკარგულებებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ბრძანებებით, ამ დებულებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

4. სააგენტო დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, გააჩნია თავისი შემოსავლები და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

5. სააგენტოს გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, კანონმდებლობის საფუძველზე გადაცემული ქონება, ანგარიში ხაზინაში და ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში, სატიტულო ფურცელი (ბლანკი) და ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით, სხვა შესაბამისი ბეჭდები და შტამპები, სააგენტოს ემბლემა და ასევე იურიდიული პირის სხვა ატრიბუტები. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს ემბლემის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
6. სააგენტოს იურიდიული მისამართია – ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150.

## მუხლი 2. სააგენტოს მიზნები და ძირითადი ამოცანები

სააგენტოს მიზნები და ძირითადი ამოცანებია:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური პროცესების და გარემოს (ატმოსფერული ჰაერი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ზღვა, ნიადაგი) ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგის სისტემების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ბ) გარემოზე დაკვირვების მონაცემთა შეკრება და ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, მათ შორის, გლობალურ ინფორმაციულ ქსელებში დადგენილი წესით გავრცელება;

გ) გარემოზე დაკვირვების მონაცემთა დამუშავება, გარემოს მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში ამინდისა და ჰიდროლოგიური მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზების, მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების და გარემოს ექსტრემალურად მაღალი დაბინძურების შესახებ გაფრთხილებების შედგენა, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისათვის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მიწოდება;

ე) არახელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ და გეოლოგიურ მოვლენებზე (თოვლის ზვავები, სეტყვა, ნისლი, ნალექების დეფიციტი, ეროზიულ-აბრაზიული პროცესები, მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი და სხვა) მონიტორინგის განხორციელება;

ვ) კლიმატის ცვლილების ფიზიკური პროცესების შესწავლა, ამ ცვლილებებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგების შერბილების და შესაბამისი ადაპტაციის ღონისძიებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ზ) ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების შემცირების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელებაში მონაწილეობა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების შემცირების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ი) საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური სტიქიის ზონებიდან მოსახლეობის გასახლების აუცილებლობის დადგენა, ეკომიგრანტების გასახლების არეალების განსაზღვრა და შეფასება;

კ) მაღალი საფრთხის მქონე ტერიტორიებზე გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

ლ) საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური და ეკოლოგიური საშიშროების რისკების შეფასებაში მონაწილეობა;

მ) ჰიდროსისტემების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით შავი ზღვისა და მდინარეთა აუზების ჰიდრო და ლითოდინამიკური კვლევა და პროცესების პროგნოზირება, შავი ზღვის სანაპირო ზოლის, სანაპირო ზონისა და შიდა წყალსატევების ჰიდრობიოლოგიური კვლევების წარმოება, რეკომენდაციების, წინადადებების, მეთოდური და სხვა სახის მასალების მომზადება;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოლოგიის და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციული ფონდების შევსება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მონაცემთა ბაზების ფორმირება;

ო) ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ამსახველ მიმდინარე და მრავალწლიურ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და შესაბამისი ანგარიშების, ბიულეტენების, მიმოხილვების და სხვა სახის საცნობარო მასალების მომზადება;

პ) სხვადასხვა ბუნებრივი სტიქიური მოვლენების ადრეული შეტყობინების სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების სრულყოფისა და დანერგვის ხელშეწყობა;

ჟ) შავი ზღვის სანაპირო ზოლის მონიტორინგი, კვლევა და რეკომენდაციების შემუშავება, მდინარეთა ნაპირფორმირების რეკომენდაციების შემუშავება.

რ) კომპეტენციის ფარგლებში ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოლოგიის და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის სფეროებში მომხმარებელთათვის მომსახურების გაწევა;

ს) ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური და გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგის საწარმოებლად საჭირო ხელსაწყო-დანადგარების და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების სამონტაჟო-საინსტალაციო და სარემონტო სამუშაოების წარმოება, გაზომილი პარამეტრების სიზუსტის კონტროლის ორგანიზება;
ტ) სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენა (გეოლოგიური აგეგმვა);
უ) კომპეტენციის ფარგლებში, ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოლოგიის და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის, ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეების შემცირების სფეროებში საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება;

ფ) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია, თევზჭერის ლიცენზიის, ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემა და ამ მიზნით გასაწევი საქმიანობის წარმართვა და კოორდინაცია; ხე-ტყის დამზადების სპეციალურ ლიცენზიასთან დაკავშირებით კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება;

ქ) კომპეტენციის ფარგლებში მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების – სალიცენზიო მოწმობების, გაცემა და კომპეტენციის ფარგლებში უწყებრივი სალიცენზიო რეესტრ(ებ)ის წარმოება მატერიალური სახით ან ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;

ღ) კომპეტენციის ფარგლებში, სარგებლობის ლიცენზიის მფლობელისთვის დადგენილი წესით ბუნებრივი რესურსების მოპოვების კვოტების დამტკიცება;
ყ) კომპეტენციის ფარგლებში, სარგებლობის ლიცენზიების მიხედვით შემუშავებული მართვის გეგმების განხილვაში მონაწილეობის მიღება;

შ) სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე მოქალაქეთა განცხადებების, საჩივრების, წინადადებების განხილვა, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მჭიდრო ურთიერთობის უზრუნველყოფა;

ჩ)საქართველოს შავი ზღვის კონტინენტური შელფის, ტერიტორიული ზღვისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის იქთიოლოგიური, ჰიდრობიოლოგიური, მიკრობიოლოგიური და ზღვის ძუძუმწოვრების კვლევა და მონიტორინგი;

ც) საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს და შიგა წყალსატევების თევზების მარაგების შეფასება და კვოტების განსაზღვრა;

ძ) კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება და ნორმატიული აქტის პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

წ) საკუთარი საქმიანობის პოპულარიზაცია და ამ მიმართულებით სხვადასხვა სახის სარეკლამო ღონისძიებების განხორციელება;
ჭ)საქართველოს მთავრობის, სამინისტროს და სხვა უწყებათაშორისი ორგანოების მიერ ინიცირებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

ხ) კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მოშენებული თერთყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების თაობაზე დასკვნების მომზადება და ამ მიზნით სპეციალური რეესტრის წარმოება;

ჯ) კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრაში, სახელმწიფო პროგრამების შემუშავებასა და მათ შესრულებაში მონაწილეობის მიღება, თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დონორებთან ურთიერთობის დამყარება, პროექტების შემუშავება და განხორციელება;

ჰ) კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტისათვის საერთაშორისო წყაროებით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის, პროექტების ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების, საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების და საერთაშორისო ორგანიზაციების/პროცესების ეგიდით საქართველოში მიმდინარე ქმედებების შესახებ ინფორმაციის, ასევე შესაბამის სამდივნოებში წარდგენილი ეროვნული ანგარიშების ასლების მიწოდება;
ჰ[1]) საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი გემების მიერ თევზჭერის განხორციელების ანალიზი, კვლევა, თევზჭერის ანგარიშების განხილვა, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და შესაბამისი ინფორმაციის კომპეტენტური ორგანოსთვის მიწოდება;

ჰ[2]) უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი გემების ავტორიზაცია საქართველოს ნავსადგურში შემოსვლისთვის;
ჰ[3]) უცხო ქვეყნის ტერიტორიულ ზღვასა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, ასევე ღია ზღვაში თევზჭერასა და თევზჭერასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების ავტორიზაცია;

ჰ[4]) საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემის მიერ დაჭერილი თევზჭერის პროდუქტების ექსპორტის მიზნით, განმცხადებლის მოთხოვნით, თევზჭერის სერტიფიკატის დამოწმება;
ჰ[5]) უცხო ქვეყნების მიერ გაცემული თევზჭერის სერტიფიკატების თაობაზე შეტყობინების დადასტურება და იმ სახელმწიფოებისა და მათი უფლებამოსილი ორგანოების შესახებ ჩანაწერების წარმოება, რომელთაგანაც მიიღო შესაბამისი შეტყობინება;
ჰ[6]) აკვაკულტურის/ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის გაცემა და „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;
ჰ[7]) გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტის განხილვა და შეთანხმება;

ჰ[8]) გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში ან პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შეუძლებლობის, ან აღნიშნულის გონივრულ ვადაში განხორციელების შეუძლებლობის, ან აღდგენის არათანაზომიერი ხარჯების შესახებ წარმოდგენილი დასაბუთების განხილვა და შეთანხმების შემთხვევაში მინისტრის მიერ შექმნილი, დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური

ღონისძიებების განმსაზღვრელი კომისიისთვის წარდგენა (მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განსაზღვრისთვის);
ჰ[9]) გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებული შესაბამისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის მიწოდება;

ჰ[10]) „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და მის საფუძველზე გამოცემული/მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;
ჰ[11]) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების/დასკვნების მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;
ჰ[12]) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის საფუძველზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ-გზშ) ჩატარების, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის წარდგენისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (შემდგომ – სგშ) ჩატარების საჭიროების განსაზღვრა;
ჰ[13]) გზშ-ის და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სგშ-ის პროცესში სკოპინგის დასკვნის გაცემა;
ჰ[14]) გზშ-ის ანგარიშის, სგშ-ის ანგარიშის, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშისა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის განხილვის მიზნით, საექსპერტო კომისიის შექმნა;
ჰ[15]) გზშ-ის ანგარიშის, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშისა და თავისი კომპეტენციის ფარგლებში სგშ-ის ანგარიშის განხილვა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაცემა;
ჰ[16]) საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
ჰ[17]) გზშ-ისგან გათავისუფლების შესახებ წინადადების მომზადება და სამინისტროსთვის წარდგენა;
ჰ[18]) გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაწყების შესახებ ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებულ სახელმწიფოსთან ინფორმაციის გაცვლის ფორმების, შემდგომი კონსულტაციებისა და გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელების ვადების შესახებ წინადადებების მომზადება და სამინისტროსთვის წარდგენა, აგრეთვე შესაბამისი პროცედურების ორგანიზება;
ჰ[19]) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
ჰ[20]) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობისა და ამ

მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯარო განხილვის ჩატარების უზრუნველყოფა;
ჰ[21]) საქართველოს „წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე) თანხმობის გაცემა;
ჰ[22]) საქართველოს „წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 2[1] პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე) თანხმობის გაცემა;
ჰ[23]) „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემა;
ჰ[24]) CITES-ის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა;
ჰ[25]) CITES-ის რეექსპორტის სერტიფიკატი;
ჰ[26]) CITES-ის ტყვეობაში გამრავლების/ხელოვნურად მოშენების სერტიფიკატის გაცემა;
ჰ[27]) ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიის გაცემა;
ჰ[28]) გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანზიტზე თანხმობის გაცემა;
ჰ[29]) თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმების დამტკიცება;
ჰ[30]) სამეცნიერო-კვლევით თევზჭერაზე თანხმობის გაცემა;
ჰ[31]) კომპეტენციის ფარგლებში ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების რეგულირება, სახელმწიფო აღრიცხვა-ანგარიშგება, მონაცემთა ბაზის წარმოება;
ჰ[32]) ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგისტრაცია;
ჰ[33]) არსებული ნაგავსაყრელების შესაბამისობაში მოყვანის გეგმებისა და კერძო კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების განხილვა და შეთანხმება;
ჰ[34]) მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან (მგვ) დაკავშირებული მწარმოებლების ელექტრონული რეესტრის წარმოება;
ჰ[35]) მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ორგანიზაციების ავტორიზაციის განხორციელების უზრუნველყოფა;
ჰ[36]) კომპეტენციის ფარგლებში ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისას ბაზელის, როტერდამისა და მინამატას კონვენციებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება;
ჰ[37]) კომპეტენციის ფარგლებში ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვაზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება;
ჰ[38]) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემა და იმპორტ-ექსპორტის განხორციელებასთან დაკავშირებული განაცხადების განხილვა;
ჰ[39]) ავტომობილის გაფრქვევების (გამონაბოლქვის) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის გაცემა;
ჰ[40]) გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების პროექტის მომზადებაში მონაწილეობა;

ჰ[41]) კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
*საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 1 აგვისტოს გრძანება №2-470 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.*

**მუხლი 3. სააგენტოს ხელმძღვანელობა**

1. სააგენტოს ერთპიროვნულად ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. სააგენტოს უფროსი იმავდროულად შეიძლება იყოს მინისტრის პირველი მოადგილე/მოადგილე.

2. სააგენტოს უფროსს ჰყავს ოთხი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს უფროსი. სააგენტოს უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს პირველი მოადგილე.

3. სააგენტოს უფროსი:

ა) უზრუნველყოფს სააგენტოზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას, კოორდინაციას უწევს სააგენტოს საქმიანობას, აწესრიგებს სააგენტოს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს, ამტკიცებს სააგენტოს შინაგანაწესს;

ბ) სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს კანონების და კანონქვემდებარე აქტების შესრულებისათვის;

გ) მოქმედებს სააგენტოს სახელით, დებს ხელშეკრულებებს, წარმოადგენს სააგენტოს სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობაში თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;

დ) სამინისტროს წარუდგენს სააგენტოს საქმიანობის ანგარიშს;

ე)წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში, ან ანიჭებს სააგენტოს თანამშრომლებს უფლებამოსილებას სააგენტოს ასეთ წარმომადგენლობაზე;
ვ) იღებს გადაწყვეტილებებს სააგენტოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე;

ზ)კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

თ) ხელს აწერს ხელშეკრულებებს და გასცემს სარგებლობის ლიცენზიებს;

ი) მინისტრთან შეთანხმებით ამტკიცებს სააგენტოს ბიუჯეტს;

კ)თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს, მათ მიმართ იყენებს დისციპლინური პასუხისმგებლობისა და წახალისების ზომებს, განსაზღვრავს დანამატის ოდენობას;

ლ)ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე სააგენტოს თანამშრომლებს ანიჭებს შესაბამის უფლებამოსილებებს;

მ)კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით ქმნის და აუქმებს დროებით სამუშაო ჯგუფებს და კომისიებს;

ნ) ადგენს თევზჭერის სერტიფიკატის რეესტრის ფორმას;
ო) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქმნის საექსპერტო კომისიას;
პ) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით და „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქმნის შესაბამის საექსპერტო კომისიებს;

ჟ) საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს ემბლემის გამოყენებასთან დაკავშირებით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;
რ) ასრულებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს. *საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №2-470 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.*

## მუხლი 4. სააგენტოს სტრუქტურა

სააგენტო შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:

ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
ბ) საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი;
გ)სტრატეგიული განვითარების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტი;
დ) იურიდიული დეპარტამენტი;
ე) შიდა კონტროლის დეპარტამენტი;
ვ) ჰიდროლოგიის დეპარტამენტი;
ვ[1]) მეტეოროლოგიის დეპარტამენტი;
ვ[2])ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი;

ზ) გეოლოგიის დეპარატამენტი;

თ) გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი;

ი) მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი

კ) ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი;
ლ) გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი;
მ) გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი.
*საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №2-470 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.*

## მუხლი 5. ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფუნქციები

ადმინისტრაციული დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) სააგენტოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ორგანიზება და საერთო კოორდინაცია;
ბ) სააგენტოში შემოსული კორესპონდენციის მიღება, დამუშავება და რეგისტრაცია;
გ) სააგენტოდან გასაგზავნი კორესპონდენციის დამუშავება, რეგისტრაცია და შესაბამის ადრესატთან დროული გაგზავნა;

დ) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების მიზნით, სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაგზავნა;
ე) სააგენტოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების დადგენილი წესით რეგისტრაცია და დანიშნულებისამებრ გაგზავნა;
ვ) საქმისწარმოების საკითხებზე შესაბამისი დოკუმენტების შემუშავება და დანერგვა;
ზ) სააგენტოს ბლანკების, საქმისწარმოების საჭირო ბეჭდების, შტამპების ნიმუშების შემუშავება და მათი შენახვისა და გამოყენების კონტროლი;
თ) საარქივო საქმის წარმოება, მათ შორის: ნომენკლატურის შემუშავება, წარმოება დამთავრებული საქმეების მიღება, აღრიცხვა, საქმეთა დოკუმენტების შენახვის ორგანიზება, დადგენილი წესის შესაბამისად, სააგენტოს არქივისთვის ჩასაბარებლად მომზადება;
ი) შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან თანამშრომლობით, თითოეული თანამდებობისათვის სამუშაო აღწერილობებისა და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება;
კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების ორგანიზება;
ლ) ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა, მათ შორის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა, სააგენტოს თანმშრომლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და მათი გადამზადების მიზნით წინადადებების შემუშავება;
მ) სააგენტოში სტაჟირებასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება და სტაჟირების პროცესის კოორდინაცია;
ნ) სააგენტოს შინაგანაწესის, პროექტის შემუშავება;
ო) სააგენტოში დასაქმებულ პირებთან, მათ შორის საზოგადოებრივ ექსპერტებთან, შრომითი ხელშეკრულებების მომზადება და მათი გაფორმების ორგანიზება;
პ) უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტოს მოსამსახურეთა დანიშვნის, სამსახურებრივი გადაადგილების (გადაყვა/დაწინაურების), გათავისუფლების, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების, შვებულების, მივლინების (ქვეყნის შიგნით/ქვეყნის გარეთ), დროებითი ფუნქციების დაკისრების, შრომითი ურთიერთობის შეჩერების ბრძანებების პროექტების მომზადება;
ჟ) სააგენტოს მოსამსახურეთა პირადი საქმეების ელექტრონული ან/და მატერიალური სახით შედგენისა და წარმოების უზრუნველყოფა;
რ) სააგენტოში არსებული კომპიუტერული ტექნიკის და ინფრასტრუქტურის მუშაობის მონიტორინგი, მათი შეუფერხებელი და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
ს) სამინისტროსთან კოორდინაციით, სააგენტოსთვის საჭირო პროგრამების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;
ტ) სამინისტროსთან კოორდინაციით, საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების, კომპიუტერული სისტემების ინსტალაცია და განახლება;
უ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს სხვადასხვა ტექნოლოგიური მოწყობილობების ინსტალაციისა და შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
ფ) სააგენტოს ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების დაცვის, შენახვის და მოვლა პატრონობის უზრუნველყოფა;

ქ) სასაწყობო მეურნეობის მართვა და სასაწყობო ინფრასტრუქტურის გამართულობის უზრუნველყოფა;
ღ) სააგენტოს ავტოპარკის მართვა და მისი გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სამუშაოების ორგანიზება, დაშვებული ლიმიტების გათვალისწინებით საწვავის ხარჯვის კონტროლი;
ყ) სააგენტოს შენობაში სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფა და ამ მიზნით ყველა საჭირო/შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
შ) სააგენტოს არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის პროცესის უზრუნველყოფა;
ჩ) სამშენებლო, სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზება და ამ მიზნით მესამე პირებთან ურთიერთობა;
ც) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება;
ძ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებისა და სააგენტოს ხელმძღვანელობის მიერ გაცემული შესაბამისი დავალებების განხორციელება.

**მუხლი 6. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ფუნქციები**

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;
ბ) საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობის წარმართვა;
გ) სააგენტოს ერთიანი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და სამინისტროში წარდგენა;
დ) სააგენტოსთვის გამოყოფილი თანხების მიზნობრივი ათვისების უზრუნველყოფა, ბიუჯეტის სისტემური ანალიზი;
ე) ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება;
ვ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს დაქვემდებარებული დეპარტამენტების სფეროებში, დაინტერესებული პირებისათვის ფასიანი მომსახურების გაწევა და ამ მიზნით საჭირო დოკუმენტაციის მომზადება/წარმოება;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობათა განხორციელება.

**მუხლი 7. სტრატეგიული განვითარების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის ფუნქციები**

სტრატეგიული განვითარების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) სააგენტოს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება;
ბ) სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფის მეთოდოლოგიური და საკონსულტაციო დახმარება პროცედურების, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით, ასევე ანგარიშ(ებ)ის/ინფორმაციის გამოთხოვა, ანალიზი, მათი შესრულების მონიტორინგი და შესაბამისი ანგარიშების მომზადება;
გ) საქართველოს მთავრობის, სამინისტროს და სხვა უწყებათაშორისი ორგანოების მიერ ინიცირებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტებიდან ინფორმაციის გამოთხოვა, კონსოლიდირება;

დ) სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვა და კოორდინაცია;
ე) საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში სააგენტოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების კოორდინაცია;
ვ) სააგენტოსთვის პრიორიტეტული საგრანტო პროექტების განხორციელების მიზნით დონორების მოძიება, მოლაპარაკებების ორგანიზება, ამ მიზნით მიმოწერის წარმართვა და კოორდინაცია; საპროექტო/საგრანტო წინადადებების მომზადებაში მონაწილეობა და შესაბამისი დონორი ორგანიზაციებისათვის წარდგენის უზრუნველყოფა;
ზ) უცხო ქვეყნების დელეგაციების და საერთაშორისო ექსპერტების მიღების ორგანიზება, საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება და კოორდინაცია;
თ) საჯარო ინფორმაციის დადგენილი წესით გაცემის უზრუნველყოფა.
ი) სააგენტოს ვებგვერდის და სოციალური ქსელების ადმინისტრირება;
კ) საზოგადოებასთან და მედია საშუალებებთან ურთიერთობების უზრუნველყოფა;
ლ)პროტოკოლის გათვალისწინებით, შეხვედრების და ღონისძიებების დაგეგმვა/ორგანიზება;
მ) სააგენტოში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებისა და ღონისძიებების საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება;
ნ) ფოტო და ვიდეო მასალის გადაღება, საიმიჯო მასალების (ვიდეოების, ბანერების) მომზადება;
ო) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

**მუხლი 8. იურიდიული დეპარტამენტის ფუნქციები**

იურიდიული დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
ბ) სააგენტოს ძირითადი საქმიანობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, ასევე კომპეტენციის ფარგლებში სხვა სამართლებრივი პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება, სააგენტოს უფროსის სამართლებრივი აქტების პროექტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით შეთანხმება – ვიზირება;
გ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი მინდობილობის (რწმუნებულების) საფუძველზე სააგენტოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სასამართლოებში, სახელმწიფო დაწესებულებებსა და სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში;
დ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი სარჩელის მომზადება, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფა, საჩივრის განხილვის შედეგებზე შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტის მომზადება;
ე) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების ანალიზი; კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს სახელით დასადები ხელშეკრულებების პროექტების მომზადება (გარდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებებისა) ან/და ვიზირება, სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ

მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა და ვიზირება;
ვ) არსებულ საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებსა და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებში შესატანი ცვლილების შესახებ წინადადებების შემუშავება და მათი წარდგენა შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის ან თანამდებობის პირისათვის;
ზ) სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება და სამინისტროსათვის წარდგენის უზრუნველყოფა; საჩივრების, ასევე იმ განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება, რომელთა განხილვაც საჭიროებს სამართლებრივ შეფასებას;
თ) განცხადებების, სასარჩელო განცხადებების, კერძო საჩივრების, შესაგებლების, შეგებებული სარჩელების, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებისა და შესაგებლების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საარბიტრაჟო ან სასამართლო საპროცესო დოკუმენტაციის მომზადება;
ი) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

## მუხლი 9. შიდა კონტროლის დეპარტამენტის ფუნქციები

შიდა კონტროლის დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) სააგენტოს თანამშრომლების (გარდა სააგენტოს უფროსისა) მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის კონტროლი;
ბ) სააგენტოს თანამშრომელთა დისციპლინისა და კანონიერების დარღვევის თავიდან აცილებისათვის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება, რისკ-ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი;
გ) სააგენტოს თანამშრომელთა საქმიანობასთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა, მათ შორის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა:
დ) სააგენტოს  თანამშრომელთა მიერ (გარდა  სააგენტოს უფროსისა) ეთიკის, შრომის შინაგანაწესის დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების ან კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა/შესწავლა;
ე) სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის მონიტორინგი, ინსპექტირება და შეფასება;
ვ) ყოველი წლის დასაწყისში (სამინისტროს შიდა აუდიტთან შეთანხმებული ფორმით), სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისთვის, გაწეული საქმიანობის  შესახებ, ანგარიშის გაგზავნა;
ზ) სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება, მათ აღმოსაფხვრელად/შესამცირებლად შესაბამისი რეკომენდაციის გაცემა და მისი შესრულების კონტროლი;
თ) სააგენტოს უფროსისთვის შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა;
ი) სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ სააგენტოსთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულების კონტროლი;
კ) სააგენტოს უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება;
ლ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

**მუხლი 10. ჰიდროლოგიის დეპარტამენტის ფუნქციები**

ჰიდროლოგიის დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) საქართველოს ტერიტორიაზე ზედაპირულ წყლებზე ჰიდროლოგიური დაკვირვებების სტაციონარული ქსელის მეთოდური ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
ბ) ჰიდრომეტრული და ტოპოგეოდეზიური აგეგმვითი სამუშაოების წარმოება; მდინარეთა აუზების მთიან და მაღალმთიან ზონებში არსებული თოვლის ფიზიკური პარამეტრების განსაზღვრისა და გლაციოლოგიური დაკვირვებების ექსპედიციური მეთოდებით განხორციელება;
გ) ზედაპირულ წყლებზე მიწისპირა ჰიდროლოგიური და დისტანციური დაკვირვების მონაცემების ანალიზი;
დ) ჰიდროლოგიური პროგნოზების შედგენა (მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი), მათ შორის, სპეციალიზებული დანიშნულების პროგნოზების მომზადება და გავრცელება;
ე) საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი სტიქიური ჰიდროლოგიური მოვლენების შესახებ გაფრთხილებების მომზადება და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების, დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების და მასმედიისთვის მიწოდება;
ვ) ჰიდროლოგიური პროგნოზების მოდელების განსავითარებლად საჭირო გამოთვლითი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
ზ) მრავალწლიურ ჰიდროლოგიურ მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფა და დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
თ) ჰიდროლოგიური მონაცემების გეოსაინფორმაციო სისტემებში ინტეგრაცია და სივრცული გეოსაინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარება;
ი) მრავალწლიური ჰიდროლოგიური მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მათი GIS ფორმატში წარმოდგენა და მონაცემთა ბაზების რეგულარული განახლება;
კ) ჰიდროლოგიური ცნობარების, ბიულეტენების, მიმოხილვების და სხვა ინფორმაციული მასალების მომზადება და გავრცელება;
ლ) შავი ზღვისა და მდინარეთა აუზების მორფო და ლითოდინამიკური კვლევა და პროცესების პროგნოზირება, ნაპირფორმირების და ნაპირდაცვითი რეკომენდაციების შემუშავება;
მ) საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდროლოგიური საფრთხეების შეფასება და ჰიდროლოგიური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის მიხედვით ტერიტორიის დარაიონება;
ნ) ჰიდროლოგიური საფრთხეების შემცირების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელებაში მონაწილეობა;
ო) კომპეტენციის ფარგლებში ჰიდროლოგიური საფრთხეების შემცირების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
პ) საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდრომეტეოროლოგიური სტიქიის ზონებიდან მოსახლეობის გასახლების აუცილებლობის დადგენა, ეკომიგრანტების გასახლების არეალების განსაზღვრა და შეფასება;
ჟ) მაღალი ჰიდროლოგიური საფრთხის მქონე ტერიტორიებზე გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

რ) საქართველოს ტერიტორიაზე ჰიდროლოგიური საშიშროების რისკების შეფასებაში მონაწილეობა;
ს) ეკონომიკის სხვადასხვა დარგის (სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მშენებლობა, ტურიზმი და სხვა) მოთხოვნების შესაბამისად, სპეციალიზებული ჰიდროლოგიური ინფორმაციის მომზადება და მომხმარებლებისთვის მიწოდება;
ტ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებზე (გზშ) ჰიდროლოგიის სფეროში საექსპერტო დასკვნების მომზადება;
უ) კომპეტენციის ფარგლებში „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების შეთანხმებაში და შესრულებაში მონაწილეობა;
ფ) ჰიდროლოგიის სფეროში, კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.
*საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №2-470 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.*

**მუხლი 10[1]. მეტეოროლოგიის დეპარტამენტის ფუნქციები**

მეტეოროლოგიის დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) საქართველოს ტერიტორიაზე მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე მიწისპირა და დისტანციური (რადარული, აეროლოგიური) დაკვირვების სტაციონარული ქსელის მეთოდური ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
ბ) მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მონაცემთა გაცვლის გლობალური ქსელიდან და ამინდის პროგნოზირების მსოფლიოს მოწინავე ცენტრებიდან მიწისპირა და თანამგზავრული მეტეოროლოგიური მონაცემების და სინოპტიკური პროდუქციის ანალიზი;
გ) ამინდის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი კლიმატური საერთო და სპეციალიზებული დანიშნულების პროგნოზების შედგენა და გავრცელება;
დ) საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი სახიფათო მეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ გაფრთხილებების მომზადება და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების, დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების და მასმედიის საშუალებებისთვის დაუყოვნებლივ მიწოდება;
ე) ამინდის და კლიმატის პროგნოსტიკული მოდელირების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა/განვითარება;
ვ) მრავალწლიურ მეტეოროლოგიურ მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფის და დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა/განვითარება;
ზ) მრავალწლიურ მეტეოროლოგიურ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება, მათი GIS ფორმატში წარმოდგენა და მონაცემთა ბაზების რეგულარულად ფორმირება/შევსება;
თ) კლიმატის ანალიზის და მონიტორინგის განხორციელება. გრძელვადიანი კლიმატური პროგნოზების შედგენა და გავრცელება;
ი) კლიმატური ცნობარების, ბიულეტენების, მიმოხილვების და სხვა სახის საცნობარო მასალების მომზადება;
კ) კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგების შერბილების და შესაბამისი ადაპტაციის ღონისძიებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
ლ) სახიფათო მეტეოროლოგიური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის მიხედვით საქართველოს ტერიტორიის ზონირება და პერიოდული განახლება;

მ) მეტეოროლოგიური საფრთხეების შემცირების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის განხორციელებაში მონაწილეობა;
ნ) კომპეტენციის ფარგლებში მეტეოროლოგიური საფრთხეების შემცირების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
ო) მაღალი მეტეოროლოგიური საფრთხის მქონე ტერიტორიებზე გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
პ) საქართველოს ტერიტორიაზე მეტეოროლოგიური საშიშროების რისკების შეფასებაში მონაწილეობა;
ჟ) ეკონომიკის სხვადასხვა დარგის (სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მშენებლობა, ტურიზმი და სხვა), სხვა დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების მოთხოვნების შესაბამისად, სპეციალიზებული მეტეოროლოგიური, აგრომეტეოოლოგიური და კლიმატური ინფორმაციის მომზადება და მომხმარებლებისთვის მიწოდება;
რ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებზე (გზშ) მეტეოროლოგიის და კლიმატის სფეროში საექსპერტო დასკვნების მომზადება;
ს) კომპეტენციის ფარგლებში „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტის შეთანხმების და მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელების საჭიროების საკითხის განხილვის მიზნით შექმნილ საექსპერტო კომისიებში მონაწილეობა;
ტ) მეტეოროლოგიის სფეროში მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციასთან, კლიმატის ცვლილების სამთავრობოთაშორისო საბჭოსთან და მონათესავე პროფილის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ქვეყნების ეროვნულ მეტეოროლოგიურ სამსახურებთან თანამშრომლობა, კომპეტენციის ფარგლებში. საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.
*საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №2-470 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.*

**მუხლი 10². ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი**

ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) საქართველოს ტერიტორიაზე მეტეოროლოგიურ და ზედაპირული წყლებისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლის ჰიდროლოგიურ პარამეტრებზე მიწისპირა და დისტანციური (რადარული, აეროლოგიური) დაკვირვების სტაციონალური ქსელის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
ბ) ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების და სინოპტიკური პროდუქციის მიღება-გავრცელების სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა და შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
გ) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელიდან მონაცემთა უწყვეტად (დღეღამურ რეჟიმში) შეკრებისა და ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე გავრცელების უზრუნველყოფა;

დ) მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მონაცემთა გაცვლის გლობალური ქსელიდან და ამინდის პროგნოზის მსოფლიოს მოწინავე ცენტრებიდან მეტეოროლოგიური მონაცემების და სინოპტიკური პროდუქციის უწყვეტად (დღეღამურ რეჟიმში) მიღება;
ე) ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ხელსაწყო-დანადგარების საინსტალაციო-სარემონტო სამუშაოების წარმოება და ჰიდრომეტეოროლოგიური გამზომი საშუალებების მეტროლოგიური (კალიბრირების) უზრუნველყოფა;
ვ) მრავალწლიანი ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემთა ბაზების ფორმირების მიზნით თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
ზ) ამინდის და ჰიდროლოგიური პროგნოზების მოდელების გასაშვებად საჭირო თანამედროვე გამოთვლითი ტექნოლოგიების დანერგვა;
თ) გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებგვერდის (www.meteo.gov.ge) გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ხარვეზების ოპერატიულად აღმოფხვრა და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ყოველდღიურად განახლება;
ი) ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროში კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება.
*საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №2-470 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.*

**მუხლი 11. გეოლოგიის დეპარტამენტის ფუნქციები**

გეოლოგიის დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) დასახლებულ პუნქტებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, ქვათაცვენა და სხვა) ექსტრემალური გააქტიურების პირობებში სიტუაციის ოპერატიული შეფასება, უარყოფითი შედეგების დადგენა, საშიშროების რისკის განსაზღვრა, საგანგებო სიტუაციაში მოქცეული მოსახლეობისათვის რეკომენდაციების გაცემა, საკარმიდამო ნაკვეთების და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენა, სათანადო დასკვნების მომზადება, გადაუდებელი ღონისძიებების გასატარებლად;
ბ) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სტიქიურ გეოლოგიურ პროცესებზე და გეოლოგიური გარემოს ანთროპოგენურ ცვლილებებზე კომპლექსური გეომონიტორინგული კვლევების პერმანენტული წარმოება;
გ) ყოველწლიური საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენის მომზადება მოსალოდნელი საშიშროების რისკისა და გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების დასახვით, ცალკეული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით;
დ) ყველა მასშტაბის (მათ შორის, სპეციალური) საინჟინრო-გეოლოგიური, საინჟინრო-გეოდინამიკური, გეოეკოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევების წარმოება, ტერიტორიის მდგრადი ათვისების, სამეურნეო და საინჟინრო ობიექტების საიმედოდ განლაგებისა და გეოლოგიური გარემოს ოპტიმალური მართვის მიზნით;
ე) საქართველოს მოსახლეობის დაცვისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების საიმედო ფუნქციონირებისათვის სტიქიური გეოლოგიური პროცესების მდგომარეობის და საშიშროების რისკის ზონირების (დარაიონების) რუკების დამუშავება ცალკეული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით;
ვ) გეოლოგიური სტიქიის მდგომარეობის, საშიშროების რისკისა და გეოლოგიური გარემოს ცვლილებების საინფორმაციო ბაზის შექმნა;

ზ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშების გეოლოგიურ ნაწილზე საექსპერტო დასკვნების მომზადება;
თ)კომპეტენციის ფარგლებში, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტის შეთანხმების და მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელების საჭიროების საკითხის განხილვის მიზნით შექმნილ საექსპერტო კომისიებში მონაწილეობა;
ი) გეოეკოლოგიურ გართულებებზე ოპერატიული რეაგირება – დასკვნებისა და დამცავი ღონისძიებების გასატარებლად რეკომენდაციების მომზადება;
კ) ინფრასტრუქტურული ობიექტების პროექტებისა და ტერიტორიების საინჟინრო-გეოლოგიური, გეოეკოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური ექსპერტიზა;
ლ) გარემოზე ბუნებრივი და ანთროპოგენური ზემოქმედების შეფასება და საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური საკონსულტაციო სამუშაოების ჩატარება;
მ) მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი და ყოველწლიური საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება;
ნ) გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოების ჩატარება (სახელმწიფო გეოლოგიური რუკების შედგენა);
ო) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება;
პ) გეოლოგიური საფრთხეებისა და ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის სადგურებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშვება და ანალიზი;
ჟ) გეოლოგიის სფეროში, კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება.

## მუხლი 12. გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ფუნქციები

1. გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დონის ბუნებრივი და ანთროპოგენური დატვირთვით გამოწვეული დაბინძურების ხარისხის დადგენა, ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვების სტაციონარული პუნქტებისა და ექსპედიციების მეშვეობით ატმოსფერული ჰაერის, წყლების, ატმოსფერული ნალექების და ნიადაგის ქიმიურ, ბიოლოგიურ (მიკრობიოლოგიურ) დაბინძურებაზე, ასევე შავი ზღვის ქიმიურ დაბინძურებაზე რეგულარული დაკვირვების წარმოება და გარემოს ფიზიკური ფაქტორების (ელექტრომაგნიტური ველი, ხმაური და სხვა) დონეების განსაზღვრა;

ბ) გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ბაზების შექმნაში მონაწილეობა და შესაბამის მონაცემთა ხარისხის კონტროლი;

გ) გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციით სახელმწიფო დაწესებულებების და დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა;

დ) სამრეწველო ობიექტების სანებართვო დოკუმენტაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების, სანებართვო პირობებით გათვალისწინებული სავალდებულო დოკუმენტაციების (გარემოსდაცვითი მონიტორინგის და შემარბილებელი ღონისძიებების

გეგმები) განხილვაში მონაწილეობა, შესაბამისი შენიშვნების, რეკომენდაციებისა და დასკვნების მომზადება;

ე) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ექსპერტიზის მიზნით შექმნილ საექსპერტო კომისიებში მონაწილეობა;
ვ) კომპეტენციის ფარგლებში, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტის შეთანხმების და მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელების საჭიროების საკითხის განხილვის მიზნით შექმნილ საექსპერტო კომისიებში მონაწილეობა;

ზ) სამინიტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად სამრეწველო ობიექტების გარემოსდაცვითი კუთხით შემოწმების პროცედურებში მონაწილეობა კომპეტენციის ფარგლებში;

თ) მოსახლეობიდან შემოსული მომართვის საფუძველზე ადგილზე შესაბამისი გაზომვითი სამუშაოების ჩატარება;

ი) კომპეტენციის ფარგლებში გარემოს ექსტრემალურად მაღალი დაბინძურების ფაქტების დასადგენ სამუშაოებში მონაწილეობის მიღება;

კ) კომპეტენციის ფარგლებში საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების შედეგად მიყენებული ზიანის შეფასებაში მონაწილეობა;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში ანთროპოგენური საფრთხეების შემცირების სფეროში სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავებასა და მათ განხორციელებაში მონაწილეობა;

მ) კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის უწყებებთან ერთად ისტორიული დაბინძურების წყაროების გაუვნებელყოფის ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობა;

ნ) გარემოს დაბინძურების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციების შემცველი წელიწდეულების, ბიულეტენების, მიმოხილვების, ცნობებისა და სხვა მასალების მომზადება;

ო) კომპეტენციის ფარგლებში გარემოს დაბინძურების მონიტორინგის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობაში მონაწილეობის მიღება;

პ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

2. გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის სამმართველოს (ლაბორატორიის) ფუნქციებია:
ა) ქიმიური და ბიოლოგიური (მიკრობიოლოგიური) ანალიზების განხორციელება;
ბ) ზედაპირული, ჩამდინარე, მიწისქვეშა წყლების, ატმოსფერული ნალექების, ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის, ფსკერული ნალექების ხარისხის კვლევა;
გ) ლაბორატორიული ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული ღონისძიებების უზრუნველყოფა;
დ) სამინიტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან, ასევე, მოქალაქეებისგან შემოსული მომართვებისა და დაინტერესებულ პირებთან (დამკვეთებთან) გაფორმებული

ხელშეკრულებების საფუძველზე შესაბამისი ანალიზების ჩატარება;
ე) ჩატარებული ანალიზების საფუძველზე მონაცემთა ბაზების შექმნა;
ვ) კომპეტენციის ფარგლებში გარემოს დაბინძურების მონიტორინგის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობაში მონაწილეობის მიღება;
ზ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
*საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 13 თებერვლის ბრძანება №2-53 - ვებგვერდი, 14.02.2025წ.*

**მუხლი 13. მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის ფუნქციები**

მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) საქართველოს შავი ზღვის კონტინენტური შელფზე, ტერიტორიული ზღვასა და განსაკუთრებულ ეკონომიკური ზონაში, საქართველოს შიგა წყალსატევებში მეთევზეობისა და აკვაკულტურის კვლევა/მონიტორინგი, მათ შორის თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების მარაგების შეფასება, სარეწაო კვოტების/ლიმიტების განსაზღვრა, თევზჭერის ბადე-იარაღების და ხერხების ანალიზი, თევზჭერის სტატისტიკური ანალიზი;
ბ) აკვაკულტურის (მათ შორის მარიკულტურის და ეკოლოგიური აკვაკულტურის) და მდგრადი მეთევზეობის განვითარების ხელშეწყობა;
გ) საქართველოს შავი ზღვის კონტინენტური შელფის, ტერიტორიული ზღვისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის თევზების, ზღვის ძუძუმწოვრების, ასოცირებული ჰიდროფაუნის, პლანქტონური და ბენთოსური უხერხემლოების, პლანქტონური და ბენთოსური ალგოფლორის, მიკრობიოტის, თანამდევი წყლის ხარისხობრივი პარამეტრების კვლევა და მონიტორინგი;
დ) საქართველოს შიგა წყალსატევების (ტბები, წყალსაცავები, გუბურები, ლაგუნები, ესტუარები, მდინარეები, ნაკადულები, არხები, წყალჭაობიანი ლოკალიტეტები) თევზების, ასოცირებული ჰიდროფაუნის, პლანქტონური და ბენთოსური უხერხემლოების, პლანქტონური და ბენთოსური ალგოფლორის, მიკრობიოტის, თანმდევი წყლის ხარისხობრივი პარამეტრების კვლევა და მონიტორინგი;
ე) ჰიდრობიონტებისა და წყლის ჰაბიტატების დაცვის, აღდგენის და გონივრული მართვის ხელშეწყობა, მათ შორის სახეობათა კონსერვაციული სტატუსის შეფასება, საქართველოს ,,წითელი ნუსხის" განახლებაში მონაწილეობის მიღება;
ვ) კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
ზ) კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციული ფონდების შევსება, მონაცემთა ბაზების ფორმირება და განახლება;
თ) კომპეტენციის ფარგლებში სარგებლობის ლიცენზიების მიხედვით შემუშავებული მართვის გეგმების განხილვა;
ი) დადგენილი წესით სამეცნიერო-კვლევითი თევზჭერის განხორციელების მიზნით წარმოდგენილი განაცხადების, ასევე სამეცნიერო-კვლევითი თევზჭერის ანგარიშების განხილვა;
კ) კომპეტენციის ფარგლებში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების განხილვა;

ლ)კომპეტენციის ფარგლებში, „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტის შეთანხმების და მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელების საჭიროების საკითხის განხილვის მიზნით შექმნილ საექსპერტო კომისიებში მონაწილეობა;
მ) კომპეტენციის ფარგლებში მოქალაქეთა წერილების, მომართვების, განცხადებების, საჩივრების, წინადადებების განხილვა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ხელმძღვანელისთვის წარდგენა;
ნ) კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობაში მონაწილეობის მიღება. საერთაშორისო შეხვედრებში, სემინარებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღება;
ო) კომპეტენციის ფარგლებში მომხმარებელთათვის მომსახურების გაწევა;
პ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს შესაბამის დეპარტამენტებთან კოორდინაციით, საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან მჭიდრო ურთიერთობის უზრუნველყოფა;
ჟ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს შესაბამის დეპარტამენტებთან კოორდინაციით, თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო, საკონსულტაციო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაბამისი პროფილის მქონე სახელმწიფო უწყებებთან, დონორებთან ურთიერთობის დამყარება, პროექტების შემუშავება და განხორციელება;
რ) საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი გემების მიერ თევზჭერის განხორციელების ანალიზი, კვლევა, თევზჭერის ანგარიშების განხილვა, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და შესაბამისი ინფორმაციის კომპეტენტური ორგანოსათვის წარსადგენად მომზადება;
ს) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

**მუხლი 14. ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის ფუნქციები**

ლიცენზირების და ნებართვების დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის, თევზჭერის ლიცენზიის, ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის და ამ მიზნით გასაწევი საქმიანობის წარმართვა და კოორდინაცია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; ხეტყის დამზადების სპეციალურ ლიცენზიასთან დაკავშირებით კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება;
ბ) აუქციონის გამოცხადების, ლიცენზიის გაცემის, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში მასში ცვლილების შეტანის, გაუქმებისა და მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სააგენტოს უფროსისთვის რეკომენდაციისა და შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის წარდგენა;

გ) ლიცენზიების მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევისას, მათ აღმოსაფხვრელად ან/და გამოსასწორებლად წინადადებების შემუშავება გონივრული ვადის განსაზღვრისა და იმ პირობების დადგენის თაობაზე, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის;
დ) თევზჭერის ლიცენზიის, სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელისთვის მოპოვების კვოტების დამტკიცების მიზნით შესაბამისი მასალებისა და დოკუმენტების განხილვა, და რეკომენდაციების მომზადება, სააგენტოში წარმოდგენილი სარგებლობის ლიცენზიების მიხედვით შემუშავებული მართვის გეგმების განხილვისა და დამტკიცების უზრუნველყოფა;
ე) საქართველოს „წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე) თანხმობის გაცემის საკითხზე სააგენტოს გადაწყვეტილების მომზადება.
ვ) საქართველოს „წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 21 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების ან მათი ნაწილების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე) თანხმობის გაცემის საკითხზე სააგენტოს გადაწყვეტილების მომზადება;
ზ) „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის გაცემა;
თ) CITES-ის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა;
ი) CITES-ის რეექსპორტის სერტიფიკატის გაცემა;
კ) CITES-ის ტყვეობაში გამრავლების/ხელოვნურად მოშენების სერტიფიკატის გაცემა;
ლ) ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიის გაცემა;
მ) გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ტრანზიტზე თანხმობის გაცემა;
ნ) თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმების დამტკიცება;
ო) სამეცნიერო-კვლევით თევზჭერაზე თანხმობის მიღების მიზნით შემოსული განაცხადების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება;
პ) შესაბამისი ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების ორგანიზება;
ჟ) „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სალიცენზიო მოწმობების გამოყენება და აღრიცხვა, ან სალიცენზიო მოწმობის ან სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის გაცემა, ასევე უწყებრივი სალიცენზიო რეესტრის წარმოება ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ან სალიცენზიო მოწმობის ან სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატის გაცემა, ასევე უწყებრივი სალიცენზიო რეესტრის წარმოება ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;
რ) სალიცენზიო/სანებართვოს მოწმობების მომზადება და გაცემა;
ს) უწყებრივი სალიცენზიო/სანებართვო რეესტრის წარმოება;

ტ) თევზჭერის ლიცენზიის, სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის, ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე აუქციონის ჩატარების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
უ) აუქციონის შედეგების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში) ოქმის შედგენა;
ფ) კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა;
ქ) ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაცემების გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
ღ) უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ მცურავი გემების ავტორიზაციის შესახებ განაცხადების განხილვა საქართველოს ნავსადგურში შემოსვლისთვის;
ყ) უცხო ქვეყნის ტერიტორიულ ზღვასა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, ასევე ღია ზღვაში თევზჭერასა და თევზჭერასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემების ავტორიზაციის განაცხადების განხილვა;
შ) საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემის მიერ დაჭერილი თევზჭერის პროდუქტების ექსპორტის მიზნით განმცხადებლის მოთხოვნით, თევზჭერის სერტიფიკატის დამოწმების უზრუნველყოფა;
ჩ) უცხო ქვეყნების მიერ გაცემული თევზჭერის სერტიფიკატების თაობაზე შეტყობინების დადასტურების უზრუნველსაყოფად იმ სახელმწიფოებისა და მათი უფლებამოსილი ორგანოების შესახებ ჩანაწერების წარმოება, რომელთაგანაც მიიღო შესაბამისი შეტყობინება;
ც) აკვაკულტურის/ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვის გაცემის თაობაზე განაცხადების განხილვა, აკვაკულტურის/ექსტენსიური აკვაკულტურის ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა სანებართვო მოწმობის ან სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემა, ასევე უწყებრივი სანებართვო რეესტრის წარმოება ელექტრონული საშუალებების გამოყენებით;
ძ) სამეცნიერო-კვლევითი მიზნით ცხოველთა სამყაროს ობიექტების გარემოდან ამოღების რეგულირება;
წ) თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმების დადგენილი წესით განხილვა და სააგენტოს უფროსისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
ჭ) კომპეტენციის ფარგლებში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების უზრუნველყოფა;
ხ) ნარჩენების სახელმწიფო აღრიცხვა-ანგარიშგება, მონაცემთა ბაზის წარმოება;
ჯ) ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგისტრაცია;
ჰ) ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისას ბაზელის კონვენციით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება;
ჰ[1]) არსებული ნაგავსაყრელების შესაბამისობაში მოყვანის გეგმების, კერძო კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების განხილვა და შეთანხმება;
ჰ[2]) ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვაზე შემოსული განაცხადების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება;
ჰ[3]) კომპეტენციის ფარგლებში ქიმიური ნივთიერებების სახელმწიფო აღრიცხვა-ანგარიშგება, მონაცემთა ბაზის წარმოება;

ჰ[4]) კომპეტენციის ფარგლებში ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული საქმიანობების შესახებ შემოსული კორესპონდენციების განხილვა და შესაბამისი წინადადებების, რეკომენდაციებისა და დასკვნების მომზადება;
ჰ[5]) კომპეტენციის ფარგლებში ქიმიური ნივთიერებების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისას როტერდამის კონვენციით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება;
ჰ[6]) კომპეტენციის ფარგლებში ქიმიური ნივთიერებების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვაზე შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მომზადება;
ჰ[7]) მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ორგანიზაციების ავტორიზაცია (შემოსული განაცხადების განხილვა, შეფასება, შენიშვნების და წინადადებების მომზადება, დასკვნების და შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება);
ჰ[8]) მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ორგანიზაციებიდან მიღებული წინა კალენდარულ წელს განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშების განხილვა;
ჰ[9]) მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ორგანიზაციების მომავალი კალენდარული წლის სამოქმედო გეგმის განხილვა და შეთანხმება;
ჰ[10]) მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან (მგვ) დაკავშირებული, წლიური ანგარიშის მომზადება (სპეციფიკური ნარჩენების ნაკადების მიხედვით);
ჰ[11]) მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ელექტრონული რეესტრის წარმოება;
ჰ[12]) მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას (მგვ) დაქვემდებარებული პროდუქციისა და მისგან წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვისა და მონაცემთა ბაზის წარმოებისა და მართვა(ნარჩენების ნაკადების მიხედვით);
ჰ[13]) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის შესახებ განცხადებების განხილვა და შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადება;
ჰ[14]) ავტომობილის გაფრქვევების (გამონაბოლქვის) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადება;
ჰ[15]) კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული განცხადებების განხილვა;
ჰ[16]) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება;
*საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №2-470 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.*

**მუხლი 15. გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების დეპარტამენტი**

გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტის განხილვა და შეთანხმება;
ბ) გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში ან პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შესაძლებლობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების (ცნობად მიღება/შეთანხმებაზე

უარის თქმა) მომზადება და გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის აღნიშნული გადაწყვეტილების გაცნობა;
გ) გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში ან პირვანდელ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენის შეუძლებლობის, ან აღნიშნულის გონივრულ ვადაში განხორციელების შეუძლებლობის, დაზიანებული გარემოს აღდგენის არათანაზომიერი ხარჯების შესახებ, ან გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიების გამოყენების არაგონივრულობის შესახებ წარმოდგენილი დასაბუთების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების (შეთანხმება/შეთანხმებაზე უარის თქმა) მომზადება და გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის აღნიშნული გადაწყვეტილების გაცნობა;
დ) გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილი დასაბუთების შეთანხმების შემთხვევაში, მინისტრის მიერ შექმნილი, დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განმსაზღვრელი კომისიისთვის დასაბუთების წარდგენის უზრუნველყოფა – მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განსაზღვრისთვის;
ე) დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განმსაზღვრელი კომისიის მიერ განსაზღვრული, დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის მიწოდების უზრუნველყოფა;
ვ) გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა;
ზ) გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტთან დაკავშირებით დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების განხილვა და საჭიროების შემთხვევაში გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის მიწოდება – მოსაზრებების/შენიშვნების მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტში გასათვალისწინებლად;
თ) დაინტერესებული პირების მოსაზრებების/შენიშვნების გათვალისწინებაზე უარის თქმის შესახებ გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილი დასაბუთების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა;
ი) მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების სხვა ღონისძიებით შეცვლის თაობაზე გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირის შუამდგომლობის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მომზადება;
კ) გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მომზადება;
ლ) საჭიროების შემთხვევაში გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის შესათანხმებლად შესაბამისი კომისიის შექმნის თაობაზე სააგენტოს უფროსისადმი მიმართვა;

მ) მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის, გეგმაში ცვლილების შეტანის ან/და დაზიანებული ტერიტორიის მიმდებარე ან სხვა ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ზიანის გამოსასწორებელი სანაცვლო/ადეკვატური ღონისძიებების განხორციელების საჭიროების საკითხის განხილვისთვის სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯების გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ ანაზღაურების საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მომზადება;
ნ) გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებული შესაბამისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის მიწოდება;
ო)კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

**მუხლი 16. გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის ფუნქციები**

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის განხორციელება და სკრინინგის გადაწყვეტილების/საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მომზადება;
ბ) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სკოპინგის პროცედურის განხორციელება და სკოპინგის დასკვნის/საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მომზადება;
გ) გზშ-ის ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების/საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მომზადება;
დ) საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა და ექსპლუატაციის პირობის ცვლილების/ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მომზადება;
ე) გზშ-სგან გათავისუფლების შესახებ განცხადების განხილვა/განხილვის კოორდინაცია და წინადადების მომზადება სამინისტროსთვის წარსადგენად;
ვ) გზშ-ის ანგარიშის, სკოპინგის ანგარიშის, საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გზშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნისა და ექსპერტიზის განხორციელების ორგანიზება და გადაწყვეტილების მომზადება;
ზ) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების/დასკვნების მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა გარემოზე ზემოქმედების (მ.შ. შემდეგ ფაქტორებზე: ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ბიომრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, წყალი, ჰაერი, ნიადაგი, მიწა, კლიმატი, ლანდშაფტი და დაცული ტერიტორიები (მ.შ. საერთაშორისო ქსელში ჩართული დაცული ტერიტორიები), კულტურული მემკვიდრეობა, სოციალურ-ეკონომიკური საკითხები და სხვ.) თვალსაზრისით;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშისა და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკის განხილვაში მონაწილეობა, განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნისა და ექსპერტიზის განხორციელების ორგანიზება და გადაწყვეტილების მომზადება;
ი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის შეცვლის საკითხის განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნისა და ექსპერტიზის განხორციელების ორგანიზება და გადაწყვეტილების მომზადება;
კ) გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში ან გზშ-ის სფეროში გაცემულ შესაბამის აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მომზადება;
ლ) გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაწყების შესახებ ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებულ სახელმწიფოსთან ინფორმაციის გაცვლის ფორმების, შემდგომი კონსულტაციებისა და გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურის განხორციელების ვადების შესახებ წინადადებების მომზადება და შესაბამისი პროცედურების ორგანიზება;
მ) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვა/განხილვის კოორდინაცია და არგუმენტირებული მოსაზრებებისა და შენიშვნების მხედველობაში მიღება;
ნ) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დოკუმენტების სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა ან/და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებებისთვის დაგზავნა;
ო) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების, ასევე, საზოგადოებრივი ექსპერტების მონაწილეობით მომზადებული დასკვნების/შენიშვნების/მოსაზრებების განსახილველად შეხვედრის მოწყობა/ორგანიზება, საჭიროების შემთხვევაში;
პ) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო განხილვებში მონაწილეობის მიღება;
ჟ) სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის და სგშ-ს ანგარიშის განხილვაში მონაწილეობა, განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის შექმნისა და ექსპერტიზის განხორციელების ორგანიზება და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტთან და სგშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება;
რ) გზშ-ის სფეროში გაცემული შესაბამისი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზის წარმოება;
ს) გზშ-ის სფეროში გაცემული აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი პირობების შესრულების მიზნით სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა ან/და განხილვის კოორდინაცია;
ტ) გზშ-ის სფეროში გაცემული შესაბამისი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსათვის მიწოდება (მოთხოვნის შემთხვევაში);

უ) გზშ-ის სფეროში გაცემული შესაბამისი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის გაუქმებისა და სხვა პირზე გადაცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება;
ფ) ზედაპირული წყლის ობიექტებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების, ასევე ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების პროექტების განხილვა და შეთანხმება;
ქ) წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა;
ღ) წყალსარგებლობის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის წარმოება;
ყ) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის განხილვა და შეთანხმება;
შ) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტების განხილვა და შეთანხმება;
ჩ) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვა. ასევე, სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების საინფორმაციო საცნობარო მონაცემთა ბანკის შექმნა;
ც) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობისა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და საჯარო განხილვების ჩატარების უზრუნველყოფა;
ძ) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგების/დოკუმენტების გამოქვეყნება;
წ) საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება, აგრეთვე, საქმიანობის განმახორციელებლის განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მათი ნაბეჭდი ან ელექტრონული ვერსიების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
ჭ) გარემოსდაცვითი საინფორმაციო პორტალის მართვა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული, გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ამ პორტალზე განთავსების ხელშეწყობა;
ხ) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საჯარო განხილვების ჩასატარებლად საჭირო ტექნიკური მხარდაჭერისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა;
ჯ) ჩატარებული საჯარო განხილვების შესახებ ოქმების შედგენა;
ჰ) ჩატარებული საჯარო განხილვების შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოება;
ჰ[1]) კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
ჰ[2]) კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;

ჰ[3]) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
*საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 1 აგვისტოს ბრძანება №2-470 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.*

## მუხლი 17. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობა

1. სააგენტოს სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს უფროსი.

2. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სტრუქტურული ქვედანაყოფის საერთო საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს სტრუქტურულ ქვედანაყოფს და ანგარიშვალდებულია მასზე დაკისრებული უფლება- მოვალეობების განხორციელებაზე;

გ) ანაწილებს დავალებებს და აძლევს მითითებებს სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლებს. აკონტროლებს მათ მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, ხელს აწერს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს და ვიზას ადებს სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ე) უზრუნველყოფს ამ დებულებით სტრუქტურული ქვედანაყოფისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების ორგანიზებას, რისთვისაც წარუდგენს სააგენტოს უფროსს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით.

3. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის მიერ სამსახურებრივ უფლებამოსილებათა შესრულების შეუძლებლობის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, მის მოვალეობას ასრულებს უფროსის მოადგილე ან სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირი.

## მუხლი 18. სააგენტოს თანამშრომელი

1. სააგენტოს თანამშრომელი ვალდებულია დაემორჩილოს სააგენტოს შინაგანაწესით დადგენილ სამუშაო რეჟიმს და პირობებს.

2. სააგენტოს თანამშრომელს აქვს სამსახურებრივი მოწმობა და ასევე შესაძლებელია ჰქონდეს სპეციალური ტანსაცმელი (უნიფორმა) განმასხვავებელი ნიშნებით, რომელთა ნიმუშებსაც და გამოყენების წესს ამტკიცებს სააგენტოს უფროსი.

3. სააგენტოს თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იყენებს სატრანსპორტო საშუალებებს. იმ სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალს, რომლებსაც უნდა გააჩნდეთ შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნიშნები (მათ შორის, სააგენტოს ემბლემა), განსაზღვრავს სააგენტოს უფროსი.

## მუხლი 19. სააგენტოს საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

სააგენტოს საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას, განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

**მუხლი 20. სააგენტოს ქონება**

კანონმდებლობით და ამ დებულებით სააგენტოსთვის განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, სააგენტოს გადაეცემა შესაბამისი ქონება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 21. სააგენტოს საბუღალტრო ანგარიშგება**

1. სააგენტო ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

2. სააგენტოს წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

**მუხლი 22. სააგენტოს დაფინანსება**

1. სააგენტოს შემოსავლის წყარო განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. სააგენტოს სახსრები და შემოსავლები ხმარდება როგორც სააგენტოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისა და ფუნქციების (საქმიანობის) განხორციელებას, აგრეთვე სამინისტროს სისტემის განვითარებას. სააგენტოს სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია.

**მუხლი 23. სახელმწიფო კონტროლი**

1. სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

2. სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს სააგენტოს არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

3. სააგენტო ვალდებულია შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე სამინისტროს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია.

**მუხლი 24. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

სააგენტოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 25. სააგენტოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

სააგენტოს დებულებაში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.